



# საქართველო GEORGIA

გარემოს დაცვისა და  
სოფლის მეურნეობის  
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL  
PROTECTION AND AGRICULTURE  
OF GEORGIA

N 11629/01  
09/11/2021

11629-01-2-202111091739



შპს „რუსთავის ფოლადს“  
მის: ქ. რუსთავი, გაგარინის ქ. N12

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 27 აგვისტოს N15399 განცხადება, რომელიც ეხება რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მიმდინარე საქმიანობის ტექნოლოგიური ციკლის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშს და გაცნობებთ შემდეგს:

- გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, ელექტროფოლადსადნობ საამქროში დაიგეგმა ახალი 35ტ/სთ წარმადობის ელექტრორკალური ღუმელის განთავსება. ასევე აღნიშნულია, რომ დღეის მდგომარეობით, ელექტრორკალური ღუმელების უბანზე წარმოდგენილია 2x10 ტ/სთ წარმადობის ელექტრორკალური ღუმელი და დაგეგმილია 1x35 ტ/სთ წარმადობის ელექტრორკალური ღუმელის მონტაჟი. სამინისტროს წარმომადგენლის მიერ საპროექტო ტერიტორიის ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე დადგინდა, რომ საწარმოში (ღუმელების უბანზე) უკვე მოწყობილია ახალი ელექტრორკალური ღუმელი. ვიზიტის დროს ახალი ელექტრორკალური ღუმელი უკვე ფუნქციონირებდა (შპს „რუსთავის ფოლადის“ წარმომადგენლის განმარტებით ღუმელი სატესტო რეჟიმში იყო ჩართული). ვინაიდან, კომპანიის მიერ დასრულებულია ახალი ღუმელის მოწყობითი სამუშაოები, ამასთან ღუმელი ჩართულია სატესტო რეჟიმში - გზშ-ის ანგარიში წარმოდგენილი უნდა იქნეს ადგილზე არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, სადაც შეფასებული და გაანალიზებული უნდა იყოს საწარმოს ტერიტორიაზე ამჟამად არსებული მდგომარეობა და მოსალოდნელი, შესაძლო ზემოქმედების სახეები;
- ამასთან, შპს „რუსთავის ფოლადის“ მიმართ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელდა შესაბამისი ინსპექტირება, რის საფუძველზეც გამოიკვეთა, რომ წარმოდგენილ გზშ-ის ანგარიშში მითითებული გარემოებები და სახელმწიფო კონტროლის განხორციელების დროს ადგილზე არსებული ვითარება ურთიერთშეუსაბამოა, კერძოდ:
  - შემოწმების აქტის მიხედვით, შპს „რუსთავის ფოლადის“ ტერიტორიაზე განთავსებულია შპს „რუსთავის ფოლადის“ კუთვნილი ცემენტის წარმოების ხაზი, რომელზეც მინისტრის 2019 წლის 23 სექტემბრის N2-912 ბრძანებით გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (2009 წლის 25 სექტემბრის

N91 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა), ხოლო წარმოდგენილი გზმ-ის ანგარიშის შესაბამისად - ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის (N91) მიღებიდან დღემდე არ განხორციელებულა ცემენტის წარმოება და ცემენტისთვის განკუთვნილ დანადგარებზე, მიმდინარეობს კირის წარმოება. აღნიშნულიდან გამომდინარე დაზუსტებას საჭიროებს ზემოაღნიშნული დასკვნის საფუძველზე გაცემულ საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები და რის საფუძველზე მიმდინარეობს ცემენტისათვის განკუთვნილ დანადგარებზე კირის წარმოება;

- გზმ-ის ანგარიშის მიხედვით საწარმოში შემოტანილი ლითონის ჯართი მოწმდება (ხორციელდება ვიზუალური ინსპექტირება) ფეთქებად-საშიშროებაზე და მხოლოდ შემოწმების შემდეგ მიმდინარეობს მისი წინასწარი დამუშავება, ხოლო შემოწმების აქტის თანახმად, ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ არ ხდება ამ ლითონის ჯართის ფეთქებად-საშიშროებაზე შემოწმება, შესაბამისად საჭიროა აღნიშნული საკითხის დაზუსტება;
- გზმ-ის მიხედვით, ელექტრორკალური ღუმელების უბანზე წარმოდგენილია  $2 \times 10$  ტ/სთ წარმადობის ელექტრორკალური ღუმელი, ხოლო შემოწმების აქტის შესაბამისად - ორი 15 ტონა/სთ-ში წარმადობის ელექტრორკალური სადნობი ღუმელი. აღნიშნული საკითხი საჭიროებს გზმ-ის ანგარიშში დაზუსტებას;
- ინსპექტირების მასალებით დგინდება, რომ მილსაგლინავ საამქროში არ არის ვენტილაციის სისტემა, საამქროს შენობაში გამოყოფილი მავნე აირების ორგანიზებული აირაციული ფარებიდან ატმოსფეროში გაფრქვევისათვის. ხოლო გზმ-ის ანგარიში მოცემულია არასწორი ინფორმაცია რომლის მიხედვით, მილსაგლინავი საამქროს ცალკეული უბნები აღჭურვილია ვენტილაციის სისტემით.
- ინსპექტირების მასალების თანახმად, ფასონური სხმულების საამქროში 3 ტონიან ღუმელში მიმდინარე ფოლადის დნობის პროცესში გამოყოფილი აირები ვრცელდება საამქროს ტერიტორიაზე და ყოველგვარი გაწმენდის გარეშე გაიტყორცნება ატმოსფერულ ჰაერში შენობის სახურავის ღიობებიდან. ამავე უბანზე ინსპექტირებით დადგინდა, რომ დოლური საშრობიდან გამოყოფილი აირები არ არის ჩართული მტვერდამჭერ დანადგარში, საწარმოში არ არსებობს მტვერდამჭერი დანადგარი და მათი გაფრქვევა ატმოსფერულ ჰაერში ხდება ყოველგვარი გაწმენდის გარეშე. ასევე დგინდება, რომ არცერთი ღუმელი არ არის აღჭურვილი აირმტვერდამჭერი მოწყობილობის სისტემით და ღუმელებიდან გამოყოფილი ყველა მავნე ნივთიერება გაიფრქვევა ატმოსფერულ ჰაერში გაწმენდის გარეშე. გზმ-ის ანგარიშის თანახმად, საფასონო საჩამომსხმელო საამქროში არსებული 4 ტ/სთ წარმადობის ელექტრორკალური (გ-37) და 0,5 ტ/სთ წარმადობის ფეროშენადნობთა ღუმელებიდან, ემისიის გაანგარიშება შესრულდა სახელოებიანი ფილტრების გათვალისწინებით. როგორც შემოწმების აქტშია აღნიშნული, საფასონო-სამსხმელო საამქროში სულ დამონტაჟებულია 4 ერთეული ელექტრორკალური ღუმელი, ერთი ინდუქციური და 2 ერთეული საწრთობი ღუმელი. ხოლო გზმ-ის ანგარიშის თანახმად, საამქროში დამონტაჟებულია ფერადი ლითონის სადნობი 2 ღუმელი; 2 ერთეული 5 და 3 ტონიანი ელექტრორკალური ღუმელი; თერმული ნორმალიზაციის ღუმელი; თუჯის საჩამომსხმელო მანქანა; მადანთერმული ღუმელი. საამქროდან ნამწვი აირების გაფრქვევა ხდება 15მ სიმაღლის გამფრქვევი მილის საშუალებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინსპექტირების

მასალებში მოცემული ინფორმაცია არ შეესაბამება საფასონო-სამსხმელო საამქროსთან დაკავშირებით გზშ-ის ანგარიშში მოცემული ინფორმაციას და საჭიროებს დაზუსტებას;

- გზშ-ის ანგარიშში მოცემული ინფორმაცია ქარხნის ტერიტორიაზე ფუნქციონირებადი საამქროების შესახებ არ შეესაბამება ინსპექტირების აქტში მოცემულ ჩამონათვალს, რაც საჭიროებს განმარტებას/დასაბუთებას.
- გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ არსებულ  $2 \times 10$  ტ/სთ ელექტრორკალურ ღუმელზე, ფაქტობრივი მდგომარეობით, აირგამწმენდი ფილტრები დამონტაჟებული არ არის და გათვალისწინებულია მათი ფილტრებით აღჭურვა. შემოწმების აქტის მიხედვით, დაფიქსირდა ელექტრორკალურ ღუმელში ფოლადის ნადნობის მასის ჩამოსხმის დროს ღუმელიდან და მილგაყვანილობებიდან დიდი რაოდენობის არაორგანიზებული მავნე ნივთიერებების გაფრქვევის ფაქტი, რის გამოც ფოლადსადნობი საამქროს კორპუსის ღია ღიობებიდან ხდებოდა დაბინძურებული აირის გაფრქვევა. ინსპექტირებისას ასევე დაფიქსირდა, რომ ყველა არსებულ შენობა-ნაგებობაში - მომუშავე საამქროებში განთავსებული შემწოვი და გამწოვი სისტემები მწყობრიდან გამოსულია და არ მუშაობს ან არ არის დამონტაჟებული. ამასთან, როგორც ინსპექტირების მასალებიდან ირკვევა, საწარმოში არსებული ღუმელების ფუნქციონირების შედეგად წარმოქმნილი მავნე ნივთიერებების გასაწმენდად არ არის დამონტაჟებული მტვერდამჭერი მოწყობილობები და მავნე ნივთიერებები ყველა ღუმელიდან ყოველგვარი გაწმენდის გარეშე გაიფრქვევა ატმოსფერულ ჰაერში. წარმოდგენილ გზშ-ის ანგარიშსა და ზღვრულად დასაშვები გაფრქვევების ნორმების პროექტში გათვალისწინებულია და გაბნევის ანგარიში შესრულებულია მტვერდამჭერი მოწყობილობების გათვალისწინებით. შესაბამისად სამინისტროში წარმოდგენილ დოკუმენტაციაში მოცემული ინფორმაცია არ შეესაბამება ფაქტობრივ მდგომარეობას. მონაცემთა შეუსაბამობა, განსაკუთრებით საწარმოს ტექნოლოგიური უზნების აირმტვერდამჭერი მოწყობილობებით და გამწოვი სისტემებით/გასაფრქვევი მოწყობილობებით აღჭურვის თვალსაზრისით არ იძლევა ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის რაოდენობრივი და გაბნევის ანგარიშების რეალურად შეფასების საშუალებას და შესაბამისად, საწარმოს გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროებზე მავნე ნივთიერებათა ნორმის დადგენის საშუალებას;
- აღნიშნულ დარღვევებთან დაკავშირებით, სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს მიერ შედგა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმები, მათ შორის ფოლადსადნობ საამქროში განხორციელებული ახალი ელექტრორკალური ღუმლის სამონტაჟო სამუშაოების შესახებ. შესაბამისად, სამინისტროში წარმოსადგენ დოკუმენტაციაში მოცემული უნდა იყოს სათანადო ინფორმაცია საწარმოში და მის მიმდებარედ არსებული მდგომარეობის და განხორციელებული/განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ;
- დაზუსტებას საჭიროებს თითოეული საამქროს, მათ შორის ელექტრორკალური ღუმელების უზნის, დაშორება უახლოეს მოსახლესთან. ამასთან, გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილ უნდა იქნეს გაფრქვევის წყაროებიდან, ასევე ხმაურის წყაროებიდან უახლოეს მოსახლემდე, შესაბამისი მანძილები, რუკაზე ჩვენებით. აღსანიშნავია რომ საწარმოს პერიმეტრიდან უახლოეს მოსახლემდე მანძილად გზშ-ის ანგარიშში მითითებულია 80 მ, რაც არ შეესაბამება რეალობას - ვინაიდან, აღნიშნულ საცხოვრებელ ობიექტამდე მანძილი 50 მ-ს შეადგენს;

- დაზუსტებას საჭიროებს მოქმედი საამქროების განთავსების GIS კოორდინატები;
- გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, საწარმოო პროცესის შედეგად, წლის განმავლობაში ადგილი ჰქონდა დაახლოებით 40 000 ტ/წელ წიდის წარმოქმნას, რომლის დასაწყობება ხდება, ელექტროფოლადსადნობი საამქროს მიმდებარე ტერიტორიაზე, ხელმეორედ გამოყენების მიზნით. საამქროში ახალი ღუმელის ამუშავების შემდეგ, წლის განმავლობაში მოსალოდნელი წიდის რაოდენობა გაიზრდება და იქნება დაახლოებით 152 000ტ/წელ. დაზუსტებას საჭიროებს აღნიშნული რაოდენობის წიდის განთავსების პირობების და შემდგომი მართვის საკითხები;
- 35ტ/სთ წარმადობის ელექტრორკალური ღუმელისთვის განკუთვნილი ახალი ჯართის დამუშავების უბნის, კაზმის მომზადების უბნის და სხვა დამხმარე ინფრასტრუქტურის შესახებ არ არის წარმოდგენილი დეტალური ინფორმაცია;
- დაზუსტებას საჭიროებს ასევე 2021 წლის 27 აპრილის №192 დადგენილებით განსაზღვრული უწყვეტი ინსტრუმენტული თვითმონიტორინგის სისტემის დანერგვის შესახებ ინფორმაცია. მათ შორის, გაფრქვევის წყაროების, მონიტორინგს დაქვემდებარებული კომპონენტების, თვითმონიტორინგისთვის შერჩეული მეთოდის/ხელსაწყო და სტანდარტის შესახებ;
- ასევე გასათვალისწინებელია, რომ საწარმოსო შენობა მოძველებულია, (ფუნქციონირებს მე-20 საუკუნის 40 -იანი წლებიდან) და შესაძლებელია შენობის გვერდებიდან გაიფრქვეს ჯართის ჩატვირთვის დროს წარმოქმნილი აირმტვერნარევი (ელექტრორკალური ღუმელების უბნიდან). შესაბამისად, საწარმომ უნდა უზრუნველყოს აღნიშნულის საწინააღმდეგო ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის დაზუსტება და გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენა;
- დაზუსტებას საჭიროებს ხმაურის გავრცელებასთან დაკავშირებული ზემოქმედების შეფასების ცხრილი (6.3.1.), სადაც არ არის მითითებული რამდენიმე ძირითადი საამქროს ხმაურის დონე ქარხნის საზღვრის პერიმეტრზე. ამასთან ცხრილში მითითებულია, რომ ხმაურის დონის ე.წ ზ.დ.ნ. 80-85 დბ-ია, რაც ასევე საჭიროებს დაზუსტებას და ხმაურის დასაშვები ნორმების მოქმედ (2017 წლის 15 აგვისტოს N398) დადგენილებასთან შესაბამისობაში მოყვანას;
- კუმულაციური ზემოქმედების ქვეთავში, ხმაურის გავრცელებასთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ საწარმოო ობიექტის ექსპლუატაციის პროცესში ხმაურის გამომწვევი ძირითადი წყაროებია კომპრესორები და სატუმბი მოწყობილობები, რაც საჭიროებს დაზუსტებას - ვინაიდან საწარმოში განთავსებულია ისეთი მაღალი ხმაურწარმომქმნელი უბნები, როგორცაა მაგალითად ჯართის მიღება-დამუშავების ობიექტი, მილსაგლინავი საამქრო და სხვ;
- ჯართის ღია უბანზე დამუშავების (ჭრის) დროს, აალების საწინააღმდეგო პრევენციული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია საჭიროებს დაზუსტებას; ასევე არ არის მოცემული ინფორმაცია ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული ჯართის შემდგომი მართვის ღონისძიებებზე;
- გზშ-ის ანგარიშის თანახმად, აირმტვერდამჭერ მოწყობილობაში დაჭერილი მტვერი შეიცავს გარკვეული რაოდენობის მეტალებს და შესაძლებელია მისი ცემენტთან ან სხვა შემკვრელთან (კირი) აგლომერაციით, მოხდეს მისი გარკვეულ ზომებად დაბრიკეტება და ტექნოლოგიურ ციკლში დაბრუნება. დოკუმენტში წარმოდგენილი უნდა იქნეს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა რაოდენობის ანგარიში აღნიშნული პროცესიდანაც;
- ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტს არ ახლავს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაზნვის გრაფიკული ნაწილი, საწარმოს განთავსების სიტუაციური გეგმა, საწარმოს გენ-გეგმა მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროების დატანით;

- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს საწარმოდან არაორგანიზებული გაფრქვევების შემცირების შესაძლო კონკრეტული ღონისძიებები;
- ვინაიდან, მთლიანად იცვლება ელექტროფოლადსადნობი საამქროს სიმძლავრე და წარმადობა - დაზუსტებას საჭიროებს N6 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის და შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადებასთან დაკავშირებით ინფორმაცია, რომელიც ასახული უნდა ყოფილიყო გზშ-ის ანგარიშში;
- შემოწმების აქტის მიხედვით, შპს „რუსთავის ფოლადის“ კუთვნილ საწარმოს ჩრდილო-აღმოსავლეთით ემიჯნება, შპს „ჯეოსთილის“ კუთვნილი მეტალურგიული ქარხანა, შპს „ჯორჯიან ელვის გრუპის“ ფეროშენადნობების საწარმო, შპს „ბულატის“ ფეროშენადნობების საწარმო, აღმოსავლეთით სს „რუსთავის აზოტის“ კუთვნილი ქიმიური წარმოება, შპს „გრაალისა“ და შპს „ინსონის“ გაჯის საწარმოები, სამხრეთ-აღმოსავლეთით შპს „რუსელოისის“ კუთვნილი ფეროშენადნობების საწარმო და შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ კუთვნილი ცემენტის წარმოება. მოცემული ინფორმაცია არ არის სრულად ასახული გზშ-ის ანგარიშში. შესაბამისად, დოკუმენტში წარმოდგენილ უნდა იქნეს დეტალური ინფორმაცია 500 მეტრის რადიუსის საზღვრებში არსებული ნებისმიერი ტიპის საწარმოს და წარმოების შესახებ, მანძილების მითითებით და შესაძლო კუმულაციური ზემოქმედების გათვალისწინებით.

გზშ-ის ანგარიშთან დაკავშირებით სამოქალაქო მოძრაობა „გავიგუდეს“ მიერ სამინისტროში წარმოდგენილ იქნა წერილობითი შენიშვნები/მოსაზრებები, რასაც გიგზავნით დანართის სახით. გთხოვთ, განიხილოთ და სამინისტროში წარმოსადგენ დოკუმენტაციაში თითოეულ საკითხთან დაკავშირებით ასახოთ დაზუსტებული ინფორმაცია.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით გაცნობებთ, რომ წერილში მითითებული საკითხების დაზუსტებამდე, სამინისტრო წყვეტს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით დაწყებულ ადმინისტრაციულ წარმოებას.

დამატებით გაცნობებთ, რომ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის შესაბამისად, თუ საქმიანობის განმახორციელებელი სკოპინგის დასკვნის დამტკიცებიდან 2 წლის ვადაში ვერ მიიღებს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას, ამავე კოდექსით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად, სკოპინგის დასკვნის დამტკიცების შესახებ მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალადაკარგულად ცხადდება.

**დანართი:** ტექსტის თანახმად.

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე

